

24 საათი

კოლინ ჰაუელი თბილისში ჩამოდიხ

შოთა უტიანოვილი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მთელი თავისი მმართველობის მანძილზე ამტკიცებდა, რომ მისი საერთაშორისო ავტორიტეტი ქვეყნის გადარჩენის მთავარი პირობა იყო. და რომ არა "ბერლინის კედლის დამანგრეველი" სახელი, მსოფლიო ისევე ვერ შენიშნავდა საქართველოს დაქვევას, როგორც მისი დაბადება ვერ შეამჩნია.

ოფიციალური პროკავანდა პრეზიდენტის დიდი ავტორიტეტის დასტურებად მუდმივად ხაზს უსვამდა ამერიკიდან ან ევროპიდან მესამე ხარისხოვანი ჩინოვნიკის ვიზიტს, ან დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად რომელიმე პრეზიდენტისაგან გამოგზავნილ მოკლე დეპეშას.

ქართული საზოგადოებაც დიდი ამბით ელოდა ყველა უცხოელ სტუმარს იმ იმედით, რომ სტუმარი ან თვითონ ჩამოიტანდა მორიგ დახმარებას, ან საქართველოს არაფრის მაქნის ხელისუფლებას აიძულებდა, რაიმე გაეკეთებინა თავისი ხალხისათვის.

თუმცა, მიუხედავად ოფიციალური სტუმრების სიმრავლისა, მათ შორის არასოდეს ყოფილან აშშ-ს უმაღლესი თანამდებობის პირები (თუ არ ჩავთვლით დონალდ რამსფელდს, რომელმაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მისიით რეგიონი რამდენჯერმე შემოიარა). ქართველი დიპლომატიები ჩიოდნენ, რომ სახელმწიფო მდივანი თბილისს 2000 კილომეტრის რადიუსით არ ეკავრება.

ბაზრქაძეაბა A3 ბავროძეა

ინტერესო ვარდების რეკონსტრუქციის „სახისმეცხველებსათვის“



დღეს საგზაო პოლიციის შენობა ხედავ - პრეზიდენტის რეზიდენცია.

მეზარ ჰბერენაი

ბოლო დროს ბევრი ქართული სიბრძნე მოძველდა, ბევრსაც კიდევ გადასინჯვა მოუხვევს. გაცუდა ქართველების საყვარელი ფრაზა: "არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია". უეკლოდ მოგვკრიფეთ და მეტიც ვქენით. ახლა კი საჭი-

როა, ამ ვარდასაც და ნეხესაც მზე თანაბრად მოეფინოს და მზისა და ვარდების მხარეში თხამ და მგელმა ერთად შეძლოს ძოვა, სავარდეს ნიადაგი გაუფხვიერდეს და გაუნოყიერდეს, ვარდი არ "დაჭუნს და მოისთავლოს". სწორედ ამას ელოდება საზოგადოება ხელვარდნიანები-საგან. შემთხვევით როდი შეჭყურებს ასე ვაფაციცებთ თითოეული

ჩვენთაგანი "მოვარდნილების" ყოველ ახალ ნაბიჯს. ეკ, არ მეკადრება მე, სოცილოგს, ასეთი ენით მეტყველება, მაგრამ რას იზამ? ახლა ხომ საკრავლურსა და პროფანულს შორის ლამისა, საზღვარი დაიკარგოს, ყოველდღიური რუტინა და დღე-სასწაული ერთმანეთში გადაიხლართოს, ხოლო მიმა სააკაშვილმა

წინასწარმეტყველისა და პოლიტიკოსის ფუნქციები შეითავსოს. მომავალში ვინმე ჩვენთაგანი აუცილებლად დაწერს ვარდების რეკონსტრუქციის "სახის მეტყველებას", მე მხოლოდ ამჯერად ამ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილი მინდა შევიტანო.

ბაზრქაძეაბა A8 ბავროძეა

პოლიტიკა

ძველი პრობლემათი ახალი ფურცელი პირ ბადიხშაბა

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანამდე მათ ქართულმა მხარემ უნდა მისცეს გარანტიები, რომ რუს სამხედროებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები არ შეექმნებათ, - ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, რუსეთის ყოფილი ელჩი საქართველოში ფელიქს სტანევსკი.

A3

უხვოთი

ქართული სახელმწიფო - ერთიანობა თუ დაშლა?

"აფხაზეთის ხელმძღვანელობის სურვილი, ქვეულოყენენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ან რუსეთის პროვინციად, პოლიტიკურად - შეუძლებელი, ხოლო ეკონომიკურად - დამსუშუპელი აღმოჩნდა", - წერს არქონბას ყოფილი თანამებრძოლი ინალ კაზანი.

A5

ახინდი

თბილისი	1
ქუთაისი	1
ბათუმი	3
სოხუმი	-3
ფოთი	0
თელავი	-1
ყუბლი	0
გორი	-3
ახმეტა	-1
ჰიათურა	-3
ბაბრა	-4
სამტრედი	1

უხვოთი ვალდის
ოფიციალური კარსი
ლართან მინარტაპი

ამშ დოლარი	2.1200
ევრო	2.6704
გრვანაქა სტერლ.	3.8461
რუბლი	0.0728

პროტესტი ბათუმური ტარორის წინააღმდეგ

წინო ცინცაძე

სამოქალაქო დარბაზის წევრები - ვახუშტი კოტეტივილი, ვაზო კილორძე, დავით მუსხელიშვილი, ნანა ალექსანდრია, დავით მალრია, ვია ჭანტურია, ნიკოლა მენგელაია, შოთა ნადირაშვილი და სხვები გუშინ კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ.

ვარდების რეკონსტრუქციის წინა დღეებში ეს ადამიანები ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე და მაშინდელ ხელისუფლებას გონიერებისა და ნინდახედულებისაკენ მოუწოდებდნენ. გუშინ მათი რისხვა და აღშფოთება უკვე ბათუმის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ქალბატონი ნანა ალექსანდრია შეკრებილ საზოგადოებას იმ დღეებზე ასხენებდა, როდესაც ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი, "კარასა" და "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს, თბილისშიც უვარდებოდნენ ოფისებში და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

ბაზრქაძეაბა A2 ბავროძეა



სამოქალაქო დარბაზი პროტესტს უხვადებს აჭარაში რეპრესიების დაწყებას.

მადონა ზღაპრებს გვიყვება

ანა კორძია-სამაღაშვილი

იცით, როგორ კეთდება ჩვენს დროში ბესტსელერი? თითქოს, სულ მარტივად: მისი ავტორი უნდა იყოს განსაკუთრებული ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, ნაწარმოები მოთხრობილი ამბავი კი - ყველა ადამიანისთვის ახლობელი და გასაგები. ესაა და ეს. მაგრამ რატომღაც, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანებს წერა იშვიათად ეხერხებათ ხოლმე, მით უმეტეს, საბავშვო წიგნების წერა. მადონა სწორედ ასეთ იშვიათ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება.

ეს ქალბატონი მრავალი, მრავალი ქალისთვის მისაბაძი მაგალითია, მისაბაძი და იმედისმომცემი. თავად განსაჯეთ: სადღაც, როჩესტერში, მიჩიგანის შტატში დაბადებულ მადონა ლუიზა ჩიკონეს სამყაროს მბრძანებლობა სურდა, ამას ძალიან ხშირად იმეორებდა ხოლმე და მიაღწია კიდევ საზღვრებს.

ბაზრქაძეაბა B3 ბავროძეა



"ინგლისის ვარდები" მადონასგან ვარდების რეკონსტრუქციის სამომბლომ.

ლევან მაიალას ინტერპოლი აღა საქართველოში ჩამოიყვანს

"ეს ყველაფერი მათ
უკან მიუბრუნდებათ."
- ამბობს ლევან
მაიალაც

ინგა ალაპიძე

გენერალურმა პროკურატურამ და შსს-მ წლების მანძილზე თარიღებზე შემოედებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ბოლოს და ბოლოს, მტვერი მოაშორა და ხმაურიან დაპატიმრებათა სერიალიც დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას, ლევან მაიალას "მოლარის" თამაზ სუპატაშვილისა და "კვარციტის" ოქროს ზოდების დაპატიმრებისა და სემეკ-ის თავმჯდომარის დავით მირცხულავას ეჭვმიტანილად გამოცხადების შემდეგ, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მაიალას ვერც დადგა.

სამართალდამცველებმა მუქარა შეასრულეს და "ხვედლოვანი რეკონსტრუქციის" შემდეგ საქართველოდან გაქცეული ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის დაპატიმრების ბრძანება გუშინ გასცეს.

"მაიალაც ჩველებრივი კრიმინალი არ არის. მისი გუბერნატორობის დროს ქვემო ქართლში, ხარკის სახით, სოლიდური თანხები იკრიბებოდა და მაიალასი ჯიბეში მიდიოდა. ეს არის ადამიანი, რომელმაც თავისი პოლიტიკური გავლენა სახელმწიფოს სახიანოოდ გამოიყენა. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა უსერიოზულეს ფინანსურ მაქინაციებში და მისი საქმიანობის კრიმინალი და პოლიტიკა ერთმანეთს გადაეჯახა", - განაცხადა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ვალერი გრიგალაშვილმა, რომლის უწყების მოიხონეთაიც, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ "უსერიოზულესი კრიმინალის" დაპატიმრების ბრძანება მხოლოდ ერთამის გამოძალისთვის გასცა.

ბაზრქაძეაბა A7 ბავროძეა

რას გავიდის ახალი ხელისუფლება უახლოეს მომავალში?

ეთარ მაიალავილი

არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში სახელმწიფო დღეს მის საკუთრებაში მყოფ მსხვილ საწარმოებს შეეღობოს - ისეთებს, როგორც არის ფოთის პორტი ან "მადნული". ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქართული ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური წამალი დარჩენილი სახელმწიფო საწარმოების დაუყოვნებლივ პრივატიზაცია იქნება. "ქვეყანამ მის საკუთრებაში არსებული საწარმოების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს," - ამტკიცებენ ისინი.

ახალი ხელისუფლება, ბუნებრივია, ახალ პოლიტიკას შემოუშვებს და აწარმოებს პრივატიზაციის საკითხებთან მიმართებაში; თუმცა, როგორც ამბობენ, სახელმწიფოს დღეს გასაყიდი ბევრი აღარაფერი დარჩა. ყველა "მსუყვე ლუკმა" ცალკეულ კლანებს თითქმის ჩაღწეულ ფასად ურგო.

ბაზრქაძეაბა A4 ბავროძეა



თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

თეატრალური სარდაფი

თეატრალური სარდაფი ვაკეში

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი

კინო

ამირანი

რეალური სიყვარული

ცირკი

საახალწლო საცირკო პროგრამა

კლუბები

აჭარა მიუზიკ ჰოლი

ნიგნები

მალაზია "პარნასი"

გამოფენა

ძველი გალერეა

რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზი

განცხადება

პარასკევს 8 საათზე "ლიტერატურულ კავშიში" (კოსტავას ქუჩა 48) შედგება საქველმოქმედო აქცია.

ყველაზე პირველი



კრებულის ავტორი გივი სულაკაური

რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი, ახლა უკვე პროზაიკოსად რომ მოგვევლინა, ამას დიდი წვლილი სწორედ ზაალ სამადაშვილის მიუძღვის - 1995-96 წლებში გივი სულაკაურმა მეგობარს (ზაალ სამადაშვილს) საკუთარი უბის წიგნის ჩანაწერები წაუკითხა.

წიგნად გამოსვლამდე ნოველები, რომლებსაც სამადაშვილმა, არც მეტი, არც ნაკლები, უმაღლესი პროზაული სწორედ ზაალ სამადაშვილის მიხედვით - 1995-96 წლებში გივი სულაკაურმა მეგობარს (ზაალ სამადაშვილს) საკუთარი უბის წიგნის ჩანაწერები წაუკითხა.

და ახალი წელი. უცანურია, როდესაც შეგიძლია რაღაცების დაწერა; ეს არის ჩემი მოთხოვნის კრებულის - კრებული, რომელიც ახლა უკვე თქვენ წინაშეა.

ვაფიქსირებთ ჩვენს ყოფნას

ეროვნული კინოცენტრი თადარიგს იჭერს

"ეროვნული კინოცენტრი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელმაც უნდა გადაარჩინოს ქართული კინო", - ეს და მსგავსი ტიპის განცხადებები გუშინ ჟურნალისტების წინაშე, ძირითადად, ახალი ხელისუფლების განცხადებად იხმოდა.

პირა ნაწარმიძე

გუშინდელ პრესკონფერენციას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა. "ვაფიქსირებთ ჩვენს ყოფნას - რომ არ გარდავცვლილავართ. დღეს თუ არ დავინწყით ამას საუბარი, მერე გვიან იქნება", - ამბობდნენ კულტურის სამინისტროში შეკრებილნი. მათ შორის იყვნენ: რეზო ესაძე, ბაადურ ნულაძე, თინა მენაბდე, ბასა ფოცხიშვილი, ლევან ზაქარაიძე, გენო ცაგავა...

მილიონ 500 ათასით დაფინანსებას მოითხოვს. "ეს არის მინიმალური მოთხოვნა, რომლის დამკაყოფილებს შემთხვევაში, 2004 წელი შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან წელიწადად ქართული კინემატოგრაფიის განვითარებისთვის", - მიუთხურობთ პრეს-რელიზში, სადაც 2004 წლისათვის ცენტრის მუშაობის სტრატეგიული საკითხებია ჩამოთვლილი.

პირველ რიგში, ეროვნული კინოცენტრი კანონმდებლობითი საკმარისობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას გვგმობს. ზაზა ურუშაძის თქმით, მათი ამოცანაა, შეიმუშაონ კანონპროექტები პარლამენტში წარსადგენად, რაც საფუძვლად დაედება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კინოს პირდაპირი დაფინანსებიდან ირბ დაფინანსებაზე გადასვლას.

ით ბიუჯეტიდან პირდაპირი წესით. საფრანგეთში სახელმწიფო კინოს არაპირდაპირი, ირიბი წესით აფინანსებს. საჭიროა რიგი კანონების მიღება, რომ ჩვენც ასეთი ტიპის დაფინანსებაზე გადავიდეთ. რამდენიმე წელიწადში კი უნდა დავიწყეთ ვასვლა ბიუჯეტიდან. არაა ეს ძალიან რთული - პირიქით", - გვითხრა ზაზა ურუშაძემ.

რაც შეეხება 2004 წლის კონკრეტულ კინოპროექტებს, ამჟამად კინოცენტრის ვალდებულებაა აქვს, წარმოებაში ჩაუშვას 2003 წელს, მისივე კონკურსის საფუძველზე, გამოცხადებული გამარჯვებული ხუთი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, ხუთი დოკუმენტური, სამი ანიმაციური და ოთხი სრულმეტრაჟიანი ფილმის (სტენარო, ფაქტია, რომ რთული სამუშაო ელთ ჩვენს კანონმდებლებს, არ არსებობს ლეგალური ვიდეორედაქციის იმპორტი, ორალი კინოთეატრის იმედად ასეთი სისტემა გაამართლებს თუ არა, ძნელი წარმოსადგენია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ რთული სამუშაო ელთ ჩვენს კანონმდებლებს. ამას გარდა, კანონპროექტის შედგენისას გასათვალისწინებელ სხვა ასპექტებს შორის, კინოცენტრის ხელმძღვანელობის აზრით, ძირითადია: სამართლებრივი

სივრცის შექმნა, რის საფუძველზეც ქართველ კინემატოგრაფისტებს მიეცემათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს სხვადასხვა კინოფორუმების კონკურსებში; საფუძველი ჩაეყაროს კინოსადისტრიბუციის განვითარების მიზნით, ასე ვთქვათ, მესამე ნაწილს - "ვერა" მაგისტრატურაზე, რომელიც მან ბრიტანეთში ყოფნისას დაწერა. ამის შესახებ დეტალურად მოგვიანებით - ანუ თავის დროზე მოგახსენებთ.

რაც შეეხება 2004 წლის კონკრეტულ კინოპროექტებს, ამჟამად კინოცენტრის ვალდებულებაა აქვს, წარმოებაში ჩაუშვას 2003 წელს, მისივე კონკურსის საფუძველზე, გამოცხადებული გამარჯვებული ხუთი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, ხუთი დოკუმენტური, სამი ანიმაციური და ოთხი სრულმეტრაჟიანი ფილმის (სტენარო, ფაქტია, რომ რთული სამუშაო ელთ ჩვენს კანონმდებლებს, არ არსებობს ლეგალური ვიდეორედაქციის იმპორტი, ორალი კინოთეატრის იმედად ასეთი სისტემა გაამართლებს თუ არა, ძნელი წარმოსადგენია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ რთული სამუშაო ელთ ჩვენს კანონმდებლებს. ამას გარდა, კანონპროექტის შედგენისას გასათვალისწინებელ სხვა ასპექტებს შორის, კინოცენტრის ხელმძღვანელობის აზრით, ძირითადია: სამართლებრივი

რა ბედი ელთ თამუნა ჭაბაშვილის პატარა ჭარისკაცებს

ანა კორძაია-სამადაშვილი

თამუნა ჭაბაშვილი სულ ახალგაზრდაა. მას სპილენძისფერი თმა აქვს, ჭრელი მარჯი აქვს მოხვეული და, ქართველ კინემატოგრაფისტებში მოქმედებდა უმრავლესობისგან განსხვავებით, ჩინებულად შეუძლია აზრის ჩამოყალიბება. ამჟამად ის ამსტერდამში, რიტფელდის აკადემიაში სწავლობს. თამუნა და მის მიერ შექმნილი გამჭვირვალე ადამიანებიც პირველად სწორედ პოლანდელ და ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა ერთობლივი პროექტის, "უცხოელის" განხორციელების შემდეგ გახსნილი გამოფენაზე ვხვებით.

თუკი ამ დღეებში, ანუ 8-დან 10 იანვრამდე, 11-დან 17 საათამდე, ქარვასლას ეწვევით, დიდ საგამოფენო დარბაზში უჩვეულო სანახაობის მონაწილე გახდებით: დარბაზის კედლებს შალაური ფარავს, რომელსაც მრავალი, სხვადასხვა ასაკის ადამიანი მიმდგარი. ისინი ხატავენ, წერენ, და თუ არაინ გაგაფრთხილათ, რა ხდება, ცოტა უცნაურ შთაბეჭდილებასაც ახდენენ.


პროექტის ავტორი თამუნა ჭაბაშვილი ვახლავთ: "საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა მოქმედების სურვილი გამიჩინა. მე, როგორც ხელოვანი, მსურს ჩემი შემოქმედებით წელიწადში შევიტანო ამ ცვლილებები".

ამ ნამუშევრით თამუნას თავისუფალი სიტყვის და თავისუფალი მოქმედების პლატფორმის შექმნა სურს. ის, რაც დარბაზის კედლებს ფარავს, თამუნას ხელთ ნაბეჭდი ქანაზები (250 ფურცელი! ზოგს

რა გაძლება აქვს), რომელიც სანყის ფენას წარმოადგენს. თითოეულ მსურველს თავის მოქმედებით შეუძლია მასში ცვლილებები შეიტანოს და ერთობლივ პროექტში ამგვარად გამოხატოს საკუთარი აზრი. სირცხვილი, ლალატი, ანგარება, ავადმყოფობა, სიხარბე, ისევე, როგორც ძლიერება, რწმენა თუ გმირობა, თამუნას ნამუშევარზე გამოხატული ადამიანის სახეს, კანის დაავადების მსგავსად, პატარა-პატარა იარაღით ფარავს - ეს უბედური არიება ძველ სამედიცინო ენციკლოპედიაში უნახავს და იქიდან გამომდინარე. სწორედ ამ არცთუ სასიამოვნო ფონზე, ქარვასლამ მოსულბემა ახალი სამყაროს შექმნა დაიწყეს.

გუშინ, ჩემს მისვლამდე, დარბაზს თხოვეტივითად ადამიანი სწევია. მათი "კვალის" შემყურეს თამუნა შექმნილი იმის თქმა, რომ ქართველები კეთილი ხალხია: ცისფერი ფრთები, ჯადოსნური დრაკონები, ყვავილები - არ მეგონა, რომ ჩვენი სამყარო ასეთი ფერადოვანი და მშვენიერია. "იცი, რა არის კარგი?" მომხართა მხატვარმა გია გუგუშვილმა. "ის, რომ ადამიანი გონება გაასწორა და სწორად აზროვნებს. სწორად დანახული პრობლემა უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ის სწორად გადაიჭრება".

თავად გიამ მრავალ, მრავალ "ჯარისკაცში" საკუთარი თავი იპოვნა და გააფრადა. რა კარგია! ვარდისფერი თმა, ყვითელი ფონი, არა უსახური ჯარისკაცი, არამედ პიროვნება. Cool! - დასძახა დარბაზში შემოსვლისთანავე ფოტოხელოვანმა შა-



ქარვასლამი მუშაობაა გაჩაღებული.

ლვა ხუნდაძემ. ის კედელს მიადგა და ნელ-ნელა გამოიკვია, რომ სენით დასახიზრებული თავები სულაც არაა სამინელი. სამუხაროდ, ადრინადად მომინა ქარვასლიდან ნამოსვლა, ბ-ნი შალვა ჯერ კიდევ ხატავდა. ჯერჯერობით ვერც იმას ვეტყვი, როგორი წვლილი შეიტანა ახ-

ალი სამყაროს შექმნაში მხატვარ-დინამიკმა, მართა თაბუკაშვილმა. ის კუთხეში ისე გულმოდგინედ მუშაობდა, რომ ბრიყული კითხვა-პასუხი შენუხება - "ეს რა არის, მართალია?" - უხერხულად ჩავივლი. იმას, თუ როგორია ჩვენი ხელთ შექმნილი ახალი სამყარო, 10

იანვარს, 15 საათზე ვიხილავთ, როცა ნამუშევარს თამუნა ჭაბაშვილი და მისი მეგობარი და კოლეგა, სოფო ტაბატაძე "მიადგებიან", საზეიმო დახურვის დროს კედლებს დასრულებული სახით ვხვებით, შემდეგ კი ფურცლები ამსტერდამში გაემგზავრება, სადაც

პროექტის ავტორს მათ გამოსაფენად გალერეა უკვე შერჩეული აქვს. მანამდე კი თამუნა შეგიძლიათ, ქარვასლას ეწვიოთ და თქვენც გამოხატოთ თავისუფალი აზრი, და ყოველ ჩვენთვის მიერ გატარებული ხაზი ჩვენს სამყაროს უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის.

ფოსტალიონი ლაბარფელდი

ეს მეტსახელი "შანელის" მთავარ დიზაინერს ჟურნალმა "ვოგმა" მას შემდეგ მოუქმებია, რაც გაირკვა, რომ ლაგერფელდი მარკეტის დიზაინითაა დაინტერესებული. მეტიც, მან უკვე დაამზადა საფოსტო მარკეტის ორი ახალი ნივთი 2004 წლისთვის. გულის ფორმის მარკეტზე, რომელიც 95 და 63 ცენტრი ელირება, შანელ №5-ის ძალზე ცნობილი კვადრატული ბოთლი იქნება გამოსახული. საფრანგეთის საფოსტო სამსახური მარკეტს ბრუნვაში 12 იანვრიდან გაუშვებს. ლაგერფელდს კი, ალბათ, სამუდამოდ შერჩება "ვოგის" მეტსახელი.



REUTERS

ფორდის პირადი ერთიპირობები

სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად ცნობილი გახდა, რომ პარისონ ფორდის 20-წლიანი ქორწინება საბოლოოდ დასრულდა. სცენარისტი მელისა მეთისონი და ფორდი ერთმანეთს ოფიციალურად გაეყარნენ.

ხედავით ასევე გადაღებულია: "კუნდუნი" (1997 წ.) და "შავი რაში" (1979 წ.). პარისონ ფორდს ის 1983 წლის მარტში გაჰყვა ცოლად. მათ ორი შვილი ჰყავთ. ფორდს კიდევ ორი შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან, რომელიც 1979 წელს დასრულდა. ბოლო ორი წელია "ვარსკვლავების ომების" ცნობილი ვარსკვლავი კალისტრა ფლოკარტთან ერთად ჩნდება საზოგადოებაში. ის მარშან ფორდის სახლში გადაბარდა კიდევ. ახლა ფორდის ოფიციალური განქორწინების შემდეგ, ისინი, ალბათ, ურთიერთობას ქორწინებით დაასრულებენ. პარისონისთვის ეს შესაძლებელი იქნება.

მათ ერთმანეთი 1976 წელს გაიცნეს, ფილმზე "აპოკალიფსის დღეს" მუშაობისას. მელისა გადასალეზ მოედანზე ასისტენტად მუშაობდა. შემდეგ მან სცენარისტის ნარმატიული კარიერა გაიკეთა. 1982 წელს ფილმისთვის "უცხოულანეტელი" "ოსკარის" ნომინაციაზე მოიპოვა, მისი სცენარების მი-



ფორდი კალისტრა ფლოკარტთან ერთად

ბამარჯვება ეთნიკური ნიშნით

ბრიტანული ფილმი Bend It Like Beckham ამერიკელ ჰავეკანთანა უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ (NAACP) თავის ყოველწლიურ კონკურსში ჩართო და წლის საუკეთესო ფილმის ნომინაციაზე წარადგინა. ეს დაჯგუფება 1962 წლიდან მოყოლებული აჯილდოებს ფილმებს, ტელეპროგრამებს, მუსიკოსებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებს ეთნიკური ნიშნის მიხედვით.

პოპულარობა ამერიკაშიც მოიპოვა და კინოთეატრების საღაროებიდან 32.5 მილიონი დოლარი დააგროვა. NAACP-ის ნომინაციის გარდა, სურათი ოქროს გლობუსზეც არის წარდგენილი საუკეთესო მიუზიკლის ან კომედიური ფილმის კატეგორიაში.

წელს ბრიტანულ ფილმს კონკურენციას უწევს "ცუდი ბიჭები-2", "ბრძოლის ცდუნებები" და "ვეშაპები-2" მონადირე". თუმცა, Bend It Like Beckham-ს გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ფილმი აზიელი გოგონას ამბავს მოგვითხრობს, რომელიც მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მანინც ისრულებს ოცნებას და ფეხბურთის გუნდში იწყებს თამაშს. 2002 წელს ფილმი ბრიტანეთში ნამდვილ ჰიტად იქცა, შემდეგ მან

საუკეთესო მსახიობის ნომინაციაზე კი წარდგენილი არიან ბიონს ნოულსი, შალი ბერი, კეიმა ქეზლ-პიუსი და ქუინ ლატიფა. რაც შეეხება მამაკაცებს, ამ კატეგორიაში შარშანდელი გამარჯვებული დენზელ ვაშინგტონი ლიდრობს. მის კონკურენციას უწევს კუბა გუდინგი უმცროსი (ფილმისთვის "რაიდი"), ლორენს ფიშბერნი ("მატრიცა რეგულაციები"), სემუელ ელდექსონი (SWAT) და უილ სმიტი ("ცუდი ბიჭები-2"). დაჯილდოების ცერემონიალი მარტში, ლოს ანჯელესში გაიმართება.



აზიელი გოგონა ფეხბურთელობაზე მუშაობს

საქართველოს
დაზის კურიერის
პირდაპირი ავიაფრენები

თქვენს მიმართობაში სავალიანო დასრულება და გადახდაში მსვლილობის დასრულება და დასრულება მოხდება.

ავიაკომპანია 24 საათის განმავლობაში, ნომერი 332609

ავიაკომპანია საქართველოს დაზის კურიერის და დასრულება მოხდება.

გავრცედა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი
"ჯანმრთელი ოჯახი"
გთავაზობთ

პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), ატრებს (მათ შორის გრიპის საინააღმდეგო), სრულ ექოსკოპიურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის ნამყვანი კლინიკებიდან.

მისამართი: ლ. ქაჩავას ქ. 18.
ტელ: 98 23 37.

მალაზია "ნათია"
მდებარე ვაზისუბნის 4 მკრ. 1 კვ. მე-6 კორპ.
აცხადებს საახალწლო
ფასდაკლებას 1-დან 15 იანვრამდე.

საოჯახო დოქტორი

შეიძინეთ გაერთეთ მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთაველი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალმატორი "საოჯახო დოქტორის" გათამაშება.

ფირმა "დენიქსი" ერთ-ერთი წარმომადგენელია.

ნაგალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტატი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსაღმდენი ხერხელების ბაგეთა მინელება, სუნი ან გამოწვევა; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის ნვეთ-ნვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნაგალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწება.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლესისტიტი), პეპტიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეციტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნაგალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნაგალი "სალხინო" თვისებები აპრობირებულია და მონონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
ნაგალის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

საბავშვო გაზეთი 12-მდე
მეორე და მესამე ტირაჟის შედეგები

04002876	05002229
04000812	05003811
04003436	05002982
04003016	05003908
04003280	05002626
04002055	05002676
04001540	05000175
04002010	05003371
04002261	05003518
04000481	05000525